პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

ჯანმრთელობის მდგრადობის მხარდაჭერა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში - კომპონენტები 2 და 3

განხორციელების ვადა: 01.10.2024 - 31.03.2027

EaP ქვეყნები:
აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 4 900 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 5 313 620

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
World Health Organization (WHO)

პროექტის აღწერა:

პროგრამა გააძლიერებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პოტენციალს საგანგებო სიტუაციებთან და ძირითად გამოწვევებთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად ჯანმრთელობის სფეროში. ამის მისაღწევად დასახულია ორი კონკრეტული მიზანი, რომლებიც ფოკუსირებულია: 1) ჯანდაცვის პერსონალის პოტენციალის და მდგრადობის განმტკიცებაზე; და 2) ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემების გაძლიერებაზე. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში გაუმჯობესდება ჯანდაცვის პოლიტიკა სისტემაში პერსონალის მოზიდვის და შენარჩუნების მიზნით; დაიხვეწება საექთნო და სამედიცინო განათლების სისტემები და კადრების მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო პროცესები. გარდა ამისა, პროგრამა დაამკვიდრებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკას, განახორციელებს საკანონმდებლო ჩარჩოების რეფორმირებას და უზრუნველყოფს ჯანდაცვის და მოვლის პერსონალს უნარებით, რომლებიც აუცილებელია ფსიქიკური ჯანმრთელობის ხარისხიან სერვისებზე წვდომის გასაუმჯობესებლად. დაგეგმილია ასევე სტიგმის და დისკრიმინაციის დაძლევის ღონისძიებები საერთო-სამთავრობო და საერთო-საზოგადოებრივი სტრატეგიებით, და სექტორთა შორის თანამშრომლობის წახალისება, განსაკუთრებით ჯანდაცვის და კულტურის სექტორებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის და კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

მოსალოდნელი შედეგები:

1. ჯანდაცვის პერსონალის პოტენციალის და მდგრადობის გაძლიერება ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურების უზრუნველსაყოფად.
2. ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემების გაძლიერება, მათ შორის მმართველობის, პოტენციალის და უნარების გაუმჯობესება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების პრევენციისა და მართვის სფეროში.